№ 246
შაბათი, 10 ნოემბერი, 1901 წ.

1877–1901

ივერია

№ 246
შაბათი, 10 ნოემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ტფილისი
საქართველოს

გაზეთი ღირს:

თვე	ან.	კ.	თვე	მან.	კ.
12. . .	10	—	6 . . .	6	—
11. . .	9	50	5 . . .	5	50
10. . .	8	75	4 . . .	4	75
9. . .	8	—	3 . . .	3	50
8. . .	7	25	2 . . .	2	75
7. . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი

კვირას, 11 ნოემბერს, 1901 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება:

პირველად ამ სეზონში. მ. მ. საფარიკ-აბაშიძის მონაწილეობით

I

ორი ობოლი

მელოდრამა 5 მოქმედებად ლენიერისა, თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, ნებიერიძისა, ლეჟავა, მდივანი და სხვ. ბ-ნნი: ბუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, აწყურელი, შათირიშვილი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი, და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები **დაკლებულია** გალერია 20 კაპეიკამდე, პარტერი 50 კაპეიკამდე, ლოჟა 3 მანეთამდე.

რეჟისორი ვ. გუნია

მზადდება **ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ** ახალი პიესა ოსტროვსკისა „მგლები და ცხვრები“. (3—უ.—2)

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის

გამგეობისაგან.

1898 წლის 25 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს იმ დადგენილებისა, რომელიც ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ყოფილ დამფუძნებელთა მიერ ამ ბანკის დასაარსებლად შეტანილ ფულის უკან დაბრუნებას შეეხება, და აგრეთვე 1900 წლის 8 მაისს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულის წესების მე-7 მუხლის ძალით, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამითი აცხადებს, რომ ის, ვისაც აქვს გადასაცემ წარწერით მიცემული უფლება თავადის ზურაბ (იგივე ტატო) ივანეს ძის მაყაშვილის მიერ, ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად შვიდას ოც და ხუთი (725) მანეთის შეტანილ ფულის უკანვე მიღებისა და ბარათი ხელთ უჭირავს, ვალდებულია ეს ბარათი ბანკს წარმოუდგინოს ექვსის თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდგან; წინააღმდეგ შემთხვევაში იგა სამუდამოდ დაჰკარგავს ბანკიდგან ფულის მიღების უფლებას იმ ბარათით, და ეს ფული ზემოდ დასახელებულ თავადს მაყაშვილს, ან მისთა მემკვიდრეთა საკუთრებად ჩაითვლება.

(3—ნ.—2)

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ ნოემბრის 11 დღესა დილის 11 საათზე სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში დანიშნულია

საზოგადო კრება.

1, არჩევანი გამგეობის სამის წევრისა და მათის კანდიდატებისა.

2, არჩევანი სარევიზიო კომისიის ერთის წევრისა.

3, არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (3—უ—2)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორლანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასთან იყიდება 3 წლის ხილის ხეები. ვაშლის ხეები: წითელი, თეთრი და ყვითელი კალვილი, ანტონოვკა, სინოპი და რენეტი. მსხალი: ალექსანდრე, სასაზამთრო გულაბი; ატამი. ფასი დაკლებულია.

(3.—6.—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

ნიკოლოზის ქუჩა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ავიანაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ს. ბ. ფედოროვი. შინაგან და პავშვებისა. 9—10 ს.

ბ. ბ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი-ქალი მ. ს. ბაძრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. ბ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათ.

ს. ა. ვოლინო—ხირურგიული (სადოსტაქრო) ხუთშაბათობითა და შაბათობით—1—2 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

ბ. ბ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ფელეტონი

უცხოთა შორის

გერმანელი აგრარიები და მუშათა გაჭირვება.—ავსტრიის სახალხო დასის კონგრესი.—არეულობანი ესპანიაში.—ევროპიელნი აფრიკაში.—შეერთებულ შტატის პრეზიდენტი და ზანგი ბუკერ ვაშინგტონი.—ტყვე-ქალები ამერიკაში.

გერმანელი აგრარიები სიხარულით ცას მოეწივნენ. ამ სიხარულის მიზეზი—ნუ გაიკვირვებ, მკითხველო—სხვათა უბედურებაა: მრეწველობის გაჭირვება და რამდენისამე ათას მუშის ულუკმა-პუროდ დარჩენა. გერმანიის ინდუსტრიას რომ დღეს დიდი კრიზისი დაუდგა, ამას უარს აღარავინა ჰყოფს. ბევრმა მდიდარმა და შეძლებულმა ქარხანამ მუშაობა სრულიად შეაჩერა, ბევრმა კიდევ შესამჩნევად შეამცირა. მუშებს ასობითა და ათასობით ითხოვენ. წარმოებას ამცირებს და მუშებს ითხოვს ისეთი მდიდარი და მთელ დედამიწის ზურგზედ განთქმული ფირმებიც-კი, როგორიც, „სიმენს და გალსკეს სავაჭრო სახლი“-ა. დღემდე ამ ფირმის სახელოსნოებში დღე-ღამე განუწყეტელი მუშაობა იყო, დღეს-კი ორშაბათობით და პარასკევობით, მაგალითად, მხოლოდ შუადღემდე მუშაობენ. უადგილოდ დარჩენილ მუშათა რიცხვი დღითი-დღე იზრდება; მარტო ბერლინში 80,000 კაცია უმუშაოდ დარჩენილი, მანგეიმში—5,000 კაცი. ლეიპციგში მუშათა ათი პროცენტია უადგილოდ. ასეთსავე გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან ბავარიისა, საქსონიისა და ბადენის მუშები.

აგრარიებმა აი სწორედ ეს გაჭირვებული დრო გამოიყენეს თავიანთ სიხარულის გამოსაცხადებლად და ინდუსტიალიზმის პოლიტიკის გასაკიცხად. ათასნაირად სცდილობენ ეხლა აგრარიები იმის დამტკიცებას, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობა სოფლის მეურნეობაზედ და არა ინდუსტიაზედ უნდა იყვეს დამყარებულიო. სოფლის მეურნეობას რომ მთავრობა დიდ დახმარებას უწევდეს, ფულს არა ზოგავდეს იმის წარსამატებლად და საზღვარ-გარეთიდგან შემოტანილ ნაწარმოებს დიდს ბაჟს ადებდეს, არასოდეს ისეთი გაჭირვება, როგორიც დღესაა, სახელმწიფოს არ დაუდგებოდაო, გაიძახიან აგრარიები. მოკლედ რომ მოვჭრათ, აგრარიები თავიანთ ჯიბის გასქელებას თხოულობენ: საზღვარ გარეთიდგან შემოსატან სოფლის ნაწარმოებზედ დიდის ბაჟის დადებასა და ამ რიგად ამ ნაწარმოების დაძვირებას, ე. ი. პურისა და სხვა სულადის დაძვირებას. ადვილად მიჰხვდება მკითხველი, რამდენად სარფა და სასარგებლოა, მაგალითად, პურის დაძვირება იმ სახელმწიფოსთვის, სადაც მარტო დღიური მუშა 8 მილიონია.

რასაკვირველია, ყველაფერში არც აგრარიების მოწინააღმდეგენი არიან მართალნი. ხშირად ისინიც ვერა ხედავენ სოფლის მეურნეობის ბევრნაირ გაჭირვებას და ბედნიერ ყოფაში მიაჩნიათ მეურნენი, როდესაც მარილაც და უბედური ღღე ადგიათ. ამას წინად ბერლინში სოფლის მეურნეების კავშირის წევრთა კრება მოხდა. ამის გამო ბებელი სწერდა: სახესა და გარეგნობაზედაც-კი ეტყობათ, რომ სოფლის მეურნენი ბედნიერ ცხოვრებაში არიან: თითო მეურნე ორჯელ მეტს აიწონის, ვიდრე ქალაქელი პროლეტარიო.

დღევანდელი კრიზისი გერმანიის მრეწველობისა ათასის მიზეზითაა გამოწვეული. რამოდენადმე ბრალი ამ საქმეში მიუძღვის, სხვათა შორის, სამხრეთ აფრიკისა და ჩინეთის ომებს, უთვალავ ბანკების გაკოტრებას, სახელმწიფოების მეტოქობას და სხვას. გერმანიის ინდუსტრია უმთავრესად სხვა ქვეყნების მაზრებისთვისა მუშაობს. საზღვარ გარეთ გააქვთ 80 პროცენტი გერმანიაში დამზადებულ საქონლისა. დღეს ბაზარი და მუშტარი მოაკლდა ამ საქონელს და კრიზისიც აუცილებელი შეიქმნა.

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ბევრ ქალაქში მუშათა შორის ნამდვილი შიმშილობაა. დღემდე გაჭირვებულ მუშებს დიდ დახმარებას უწევენ საამხანაგო კასსები. ამ კასსებიდგან უადგილოდ დარჩენილ მუშას, რასაკვირველია, კასის წევრს, 2—5 მანეთამდე ეძლევა კვირაში. მაგრამ მალე, ეჭვი არ არის, თვით კასსებსაც შემოაკლდებათ ფული. ესეც არ იყოს, გაერთიანებულ მუშათა რიცხვი, რომელთაც კასები აქვთ, ერთ მილიონს არ აღემატება, სულ-კი, როგორც ზემოდაც ვთქვით, გერმანიაში 8 მილიონი მუშაა.

ამ გაჭირვებამ ძალიან დააფიქრა გერმანია. მთავრობა, ქალაქები და კერძო საზოგადოებანი უკვე შეუდგნენ გაჭირვებულთა დახმარების საქმის მოწყობას. ბევრგან საზოგადო სამუშაოების დაწყობასა ჰფიქრობენ. პატარა ბავარიას, მაგალითად, 25 მილიონ მანეთის რკინის გზების გაყვანა განუზრახავს, ბერლინს 20 მილიონ მანეთის სასკოლო შენობების აგება, სხვა ქალაქებს კიდევ სხვა საქმეების დაწყობა. თუ ყოველივე ეს განხორციელდა, ბევრი უადგილოდ დარჩენილი მუშა იშოვნის სამუშაოს. ამას გარდა, ბევრგან სარგებლობენ ამ გაჭირვებით და სცდილობენ მუშათა სავალდებულო დაზღვევის შემოღებას. ასეთ დაზღვევას დიდი სარგებლობა მოჰყვება. დაზღვეული მუშა, თუ ვინიცობაა უადგილოდ დარჩა, ჯამაგის მიიღებს და შიმშილს ასცდება.

---

12 ოქტომბერს დაიწყო ვენაში ავსტრიის მუშათა დასის წარმომადგენელთა კრება, ანუ „საინტერნაციონალო მუშათა პარლამენტი“, როგორც ავსტრიაში მუშათა დასის კონგრესს ეძახიან. სწორედ იმ დროს, სწერს „რუსკ. ვედ.“-ს კორრესპონდენტი, რა დროსაც ავსტრიის ოფიციალურ პარლამენტში სხვა-და-სხვა ერის წარმომადგენელნი, ურთ-ერთის სიძულილით გატაცებულნი, ერთმანერთსა სწეწავდნენ და ჰგლეჯავდნენ, ამ „მუშათა პარლამენტში“ ერთის ერის დელეგატები ტაშის ცემით ეგებებოდნენ მეორისას. დელეგატები ცალ-ცალკე ჯგუფებად ისხდნენ. იყვნენ იქ ჩეხნი, პოლონელნი, იტალიელნი, სლავენნი, რუსინნი და სხვანი. თვითეული ერი ცალკე მუშათა დასს წარმოადგენს, თვითეულს საკუთარი მართვა-გამგეობა აქვს, ჟურნალ-გაზეთები და მხოლოდ ორ წელიწადში ერთხელა ჰმართავენ მუშათა კრებას მთელ ავსტრიის იმპერიისათვის.

მთავარი საგანი, ამ კრების განსახილველი, დასის პროგრამის გადასინჯვა იყო. დღემდე სახალხო დასი ავსტრიაში ხელმძღვანელობდა ეგრედ წოდებულ გაინფელდის პროგრამით, 1888 წელს შემუშავებულ სახალხო დასის წინამძღოლის ვიქტორ ადლერის მიერ. ეს პროგრამა თხოუ-

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო ,ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიძოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ძ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ძარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ბ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. დარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ახალი ამბავი

—

*** მალე შემოიღებენ ახლად შემუშავებულს რკინის გზის ტარიფს იმ შემთხვევისათვის, როდესაც მოსწავლენი რკინის გზით სადმე მიდიან ხოლმე სამოგზაუროდ. ახალის ტარიფით, თუ რომ მანძილი 300 ვერსს არ აღემატება, მოსწავლენი ჩვეულებრივის ფასის მხოლოდ მეოთხედს გარდიხდიან.

*** ხუთშაბათს, 8 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობაში სხდომა ჰქონდა მიმდინარე საქმეების განსახილველად ტფილისის სასწავლებელთა კომისიას. კომისიამ დროებით განათავისუფლა ავადმყოფობისა გამო სამსახურიდგან ტფილისის დედათა საპროფესიონალო სახელოსნოს მასწავლებელი ქალი ბუტირინისა. შემდეგ განიხილა განცხადება კნ. მ. თუმანოვისა იმის შესახებ, რომ ქალაქმა თვისს მზრუნველობის ქვეშ მიიღოს მის მიერ დაარსებული ხალიჩების საქსოვი სახელოსნო სკოლა. ამ საქმის განსახილველად განსაკუთრებულ მოხსენების წარსადგენად ამოჩეულ იქმნა მცირე კომისია, ა. ს. ბაბოვისა, ლისიციანისა, კარაპეტოვისა და სხვა ხმოსანთაგან შემდგარი. კომისიამ ქ-ნ მ. დემურიას თხოვნა ნაძალადევის სამკითხველოს შემწეობის აღმოჩენის შესახებ შეიწყნარა და გარდასწყვიტა აღნიშნულს სამკითხველოს 100 მან. მიეცეს ერთხანად შემწეობად. ამავე სხდომაზედ კომისიამ გარდასწყვიტა ტფილისის სახალხო კითხვათა კომისიას 500 მან. ნაცვლად ყოველ წლობით 600 მან. შემწეობა აძლიოს. კომისიამ ქალაქის გამგეობას 800 მან. შემწეობა სთხოვა.

*** როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, განკარგულება მოუხდენიათ, საერთაშორისო მეთევზეობის მრეწველობის გამოფენაზედ, რომელიც 1902 წელს გაიმართება პეტერბურგში, ექსპონატები შეღავათიანის პირობებით იგზავნებოდეს რუსეთის ყველა რკინის გზებით.

*** მთავრობას საჭიროდ უცვნია რკინის გზის ბუფეტებზედ სასანიტარო მეთვალყურეობა გაძლიერებულ იქმნეს.

*** განზრახვა თურმე აქვთ ფოსტა-ტელეგრაფის უწყების სამსახურში ამიერიდგან საკმაოდ განათლებულნი მიიღონ ხოლმე და ნივთიერად მათი მდგომარეობა უკედ მოაწყონ.

*** საკომერციო სავაჭრო სასწავლებლებისათვის შესაფერ მასწავლებლების მოსამზადებლად ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს ახალი საფილოლოგო ინსტიტუტი დაარსოს, რომელშიაც სამის წლის კურსი და სწავლება უფასოდ იქმნება შემოღებული.

*** როგორც „Тифл. Л.“ სწერს, კავკასიის გამოფენაზედ წარმოდგენილი ტფილისის სახელოსნო სასწავლებლების ნამუშავარი ოლქის ყველა მხრიდგან ჩამოსულს სატეხნიკო და სახელოსნო სასწავლებლების უფროსებს რიგიანად შესრულებულად ვერ უცვნიათ; დაუთვალიერებიათ თვითონ სასწავლებელი და აღმოუჩენიათ, რომ სხვა და-სხვა სამუშაო ხელსაწყობები და იარაღები მოსწავლეთა რიცხვისათვის (230) საკმაო არ არის და თვითონ შენობაც სასწავლებლის მოთხოვნილებას არაფრით შეესაბამება. ამისათვის მზრუნველს კავკასიის სამოსწავლო ოლქისას უთხოვნია ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლისათვის უვარგისი იარაღი დაუყოვნებლივ ახალზედ იქმნეს შეცვლილი და შესაფერისი შენობა სადმე მოუპოვონ, ერთი სიტყვით, სწავლების უკეთ მოწყობისათვის ყოველივე ღონისძიება იქმნეს მიღებული.

*** მომავალის წლის იანვრიდგან გერმანელთა ახალშენების მცხოვრებნი უმაღლესის მთავრობის განკარგულებით ყველა იმ წესსა და კანონებს უნდა დაემორჩილნენ, რომელთაც ყველა სხვა-და სხვა ტომის ერები ემორჩილებიან კავკასიაში.

*** როგორც „ტფ. ფურ.“-ი იუწყება, ტფილისში კარგად ცნობილს მომღერალს ქალს პაპაიანს პეტერბურგის მკაცრი ჰავა ვერ აუტანია, საიმპერატორო თეატრების დირექციასთან შეკრული პირობა დაურღვევია და მალე თურმე ტფილისში ჩამოვა.

6 ნოემბერს, დილით, გორის მაზრის მცხოვრებ გლეხის მიხ. ლომსაძის ტივი მარქარ ბეგ-ავაქოვის წისქვილს დაეჯახა, ტივი დაიშალა და ლომსაძე დაიხრჩო.

*** 8 ნოემბერს შორაპნის სადგურთან მატარებელი ჯერ რომ არ გაჩერებულიყო, გადმოსვლა მოინდომა კონდუქტორმა ლეონტი კოროლიუკმა. სიმთვრალის გამო თავი ვერ შეიმაგრა და მოჰყვა მატარებელს, რომელმაც მარცხენა ხელის ორი თითი მოსჭრა. დაშავებული ტფილისს გამოგზავნეს რკინის გზის სამკურნალოში.

*** 8 ნოემბერს ევლახის სადგურის მესამე კლასის დარბაზში უეცრად გარდაიცვალა მგზავრი, მცხოვრები ტამბოვის გუბერნიისა, გვარად ჩაევსკი, 68 წლისა. გვამი პოლიციას გადასცეს.

*** 8 ნოემბერს, დილის 8 საათზე მუშა მატარებელზე მუშებს ჩხუბი მოუვიდათ, გადმოაგდეს მატარებლიდგან უფროსი მუშა სალაჭ-ხალი-ოღლი, რომელიც მოჰყვა მატარებელს. სალი-ოღლის მატარებელმა დაუმსხვრია ორივე ფეხი და მარცხენა ხელი. დაშავებული რკინის გზის სამკურნალოში გაგზავნეს.

*** სოლოლაკის ქუჩაზედ, თაიროვის სახლში მოთავსებულ სიმონ ლაზარევის სახელოსნოდგან ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ წყლის მილის გასაყვანი სხვა-და-სხვა იარაღი მოუპარავთ, 200 მან. ღირებული, რადგანაც ნივთების დაკარგვის დროს ლაზარევის სახელოსნოს მოსამსახურენი იყენებ ზალუკაშვილი და ვლადიმერ ვენცაძე, სადღაც მიმალულან, ეჭვი ამათზედ მიუტანიათ და კარგა ხნის ძებნის შემდეგ დაუჭერიათ და დაკარგული იარაღიც უპოვნიათ.

*** პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაული სთხოვს ტფილისის ქალაქის გამგეობას შეაკეთოს ანდრეევისა და დამოკნის ქუჩები, რადგანაც ამ ქუჩების შესართავში საშინელი ტალახი დგება და მთელის თვეობით არა შრება, რაიცა მიმოსვლას ხალხისას მეტად აფერხებს.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრების საყურადღებოდ.

—

ამ ორის წლის წინად, როდესაც ბანკიდგან დასაბრუნებელმა ფულმა გამოიწვია ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ბაასი ამ ფულის დანიშნულების შესახებ, სხვა-და-სხვა აზრი გამოითქვა. სხვათაშორის, მეც მქონდა შემთხვევა ამ საგანზე ჩემი შეხედულობა გამეზიარებინა მკითხველ საზოგადოებისათვის 1899 წლის „ივერიის“ № 130-ის საშუალებით. მაშინ მე შეძლებისა-და-გვარად განვმარტე, თუ ფულის რა გვარად მოხმარება იქნება უფრო სამართლიანი და სასარგებლო. მე უარ ვყოფდი სამართლიანობას საზოგადო ფულის საქველ-მოქმედო ფონდად მოხმარებისას და აღნიშნული მქონდა, რომ:

1) საზოგადო საქმის თავნი სხვა არის და საქველ-მოქმედო საქმის თავნი სხვა. მისაღებ ფულის შემოსავალი საზოგადოების მოთხოვნილებ-

---

ლობს სავსებით დაცვას სამეკნიერო სოციალიზმის იმ დებულებათა, რაც თვით მოძღვრების მამათ-მთავართ აღიარეს ჭეშმარიტებად. იგი არავითარ გადახვევას, არავითარ ოპპორტიუნიზმს არა სცნობს. აი ამ პროგრამის შეცვლა განიზრახა დღეს თვით დასისავე წინამძღოლმა ადლერმა. საყურადღებოა ამ შემთხვევაში ის, რომ ადლერმა შესამჩნევად შეასუსტა სიმკაცრე და შეურიგებლობა წინანდელის პროგრამისა. ბევრმა ბერნშტეინის კრიტიკის გავლენაც-კი დასწამა ადლერს. თუმცა იგი თავგამოდებით ამტკიცებდა კრებაზედ, რომ ახალ პროგრამაში წინანდელთან შედარებით არავითარი არსებითი ცვლილება არ იქმნა შეტანილიო, მაგრამ ზოგიერთები მაინც უჩვენებდნენ ისეთ ადგილებს, საიდგანაც ცვლილება მართლაცა და აშკარა ხდება. გაინფელდის პროგრამაში, მაგალითად, ნათქვამი იყო: „სამუშაო ძალის პატრონი წარმოების საშუალებათა მესაკუთრის მონად ხდება“. ახალ პროგრამაში-კი სწერია: „სამუშაო ძალის პატრონი წარმოების საშუალებათა მესაკუთრისაგან დამოკიდებული ხდება“. სხვა რიგად შესცვალა ადლერმა აგრეთვე ის აზრი, რომ კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად იზრდება მუშა კლასთა სიღატაკეც. წინად ადლერი მუშა კლასთა დიქტატურის შესახებ სწერდა და ამბობდა, რომ ამ „კლასმა პოლიტიკური ძალა უნდა გამოჰგლიჯოს სხვასაო“, ეხლა-კი ჰქადაგებს, რომ მუშა კლასს „შესაფერი გავლენა უნდა მიენიჭოსო.“ ესა და სხვა ადგილები აშკარად მოწმობენ, რომ ადლერი და იმასთან ერთად სხვა წევრნი წინანდელ შეურიგებლობისა და განკერძოების პროგრამას გზას უხვევენ.

კონგრესსზედ ახალ პროგრამას ცხარე კამათი გამოუწვევია. კრებას გერმანელი სოციალ-დემოკრატნიც დასწრებიან, როგორც, მაგალითად, კაუტსკი, პერნერსტორფერი, ელლენბოგენი და სხვანი. გაზეთები ჯერ არ გადმოგვცემენ, რით გათავდა კრებაზედ ეს საინტერესო კამათი.

◆ ◆

არ იქმნა, არ ეღირსა მოსვენება საწყალ ესპანიას! ვერსად სხვაგან დედამიწის ზურგზედ ვერ შეჰხვდებით ისეთ არეულობებს, აჯანყებებს, ჩხუბსა და ალიაქოთს, როგორიც ამ ჟამად ესპანიაშია. ისე დღე როგორ გავა, რომ ხან აქ, ხან იქ პოლიციამა და მცხოვრებლებმა ერთმანეთს ცხვირ-პირი არ ჩაამტვრიონ. ესპანიაში პოლიცია და ჯარი განუწყვეტელ ბრძოლაშია. ებრძვის იგი ხან კარლისტებს, ხან რესპუბლიკელებს, ხან ანარქისტებს, ხან კიდევ სოციალისტებს.

საცოდავ სურათს წარმოადგენდა თურმე ამას წინად ჩვეულებრივ სიცოცხლით სავსე სევილია. მოედნები და ქუჩები სამხედრო ბანაკებათ გადაექციათ; მაღაზიები, ქარხნები სახელოსნოები, რესტორანები სულ ერთიან დაკეტილი იყო. მუშაობა ყველგან შეჩერებული იყო. არსადა სჩანდნენ არც ეტლები, არც ცხენის რკინის გზის ვაგონები. სახლებს ბრძოლის ნიშნები ეტყობოდა: ბევრგან ფანჯრები, კარებები და აივნები ჩაემტვრიათ. არეულობა დაეწყო დედაკაცთა და ბავშვთა ბრბოს. დედაკაცები ქარხნებს უვლიდნენ თურმე და მუშებს ურჩევდნენ, აღკვეთედ მუშაობაო. არ გასულა დიდი დრო, რომ ქუჩები ხალხით გაივსო. მეორე დღეს უკმაყოფილოთა რიცხვი 35,000 მდე ავიდა. ბრბო ფანჯრებს ამტვრევდა თურმე ეკლესიებსა და სასულიერო სასწავლებლებში, სცემდა ქუჩებში ბერებს და სხვა უწესოებს სჩადიოდა.

არეულობის მიზეზი ვიღაც პიკმანი ყოფილა, მდიდარი ქარხნის პატრონი. პიკმანს, მუშათა ორგანიზაციის ჩასაშლელად, ერთ მშვენიერ დღეს თავისი ქარხანა დაუკეტნია და 1,500 კაცი ულუკმა-პუროდ დაუტოვებია. ამ მუშებს 30,000 სხვა მიჰმხრობია, და გაიმართა ესპანიისათვის ჩვეულებრივი ამბავი. რასაკვირველია, ბრძოლა ცხარე იყო პოლიციასა და მეამბოხეთა შორის. ბევრი დაიჭრა, დაშავდა და მოკვდა კიდეც ორსავე მხრიდგან. ეს ამბავი 14, 15 და 16 ოქტომბერს მოხდა.

ასეთივე არეულობანი მოხდა ხიხონსა, ვიგოსა, ოვიდოსა და სხვა ქალაქებში. ხიხონში არეულობანი საიუბილეო სასულიერო პროცესიის გამო მოხდა. როდესაც ეს პროცესია—1000 დედაკაცი და 100 შეიარაღებული მამა-კაცი—წმ. პეტრეს ეკკლესიიდგან გამოვიდა, ხალხი სტვენით მიეგება. პროცესიას ჟანდარმები და ჯარი მიეშველა. მალე ჩხუბიც გაიმართა, იქით-აქედგან ქვებსა და თოფებს ისვროდნენ, კეტებით სცემდნენ ერთმანეთს. აქაც ბევრი უბედურება მოხდა.

ოვიდოში სასულიერო პროცესიისავე გამო შეტაკება კლერიკალებსა და ლიბერალებს შორის მოხდა. სემენარიელნი, პროცესიიდგან დაბრუნებულნი, სან-დომინგის ქუჩაში ლიბერალებს შეჰხვდნენ. „შორს ჩვენგან სამღვდელოებაო!“ დაიყვირეს ლიბერალებმა და თან მარსელეზა შემოსძახეს. სემინარიელებმა ვერ მოითმინეს, მათაც შეჰყვირეს პაპის სასახელოდ რაღაც სიტყვები და დანებითა და ლევორვერებით შეუტიეს ლიბერალებს, მაგრამ მალე უკუქცეულ იქმნენ... მეორედ შეტაკება კარპიოს ქუჩაში მოხდა. აქ სემენარიელნი და კლერიკალნი სავსებით დამარცხდნენ. იმათი „რაზმები“ უგზო-უკვლოდ აქეთ-იქით გაიფანტნენ. ბრძოლის ველი მოფენილი იყო სემენარიელთა მანტიებით და ბერების ჯვრებითა და კრიალოსნებით. მალე ჟანდარმებიც მოვიდნენ და ბრბოსა და იმათ შორის ნამდვილი ბრძოლა გაიმართა. დაჭრილი ბევრი აღმოჩნდა. ასეთი. შეტაკებები ბევრგან სხვაგანაც მოხდა. სასულიერო პროცესიები მცხოვრებთა ერთ ნაწილს მანიფესტაციებად მიაჩნია კლერიკალთა მხრივ, აი ამიტომ მოსდევს ხოლმე ყოველ პროცესიას შეტაკება.

◆ ◆

დღეს ევროპაში ყველანი ჰაცხავენ ინგლის სამხრეთ აფრიკის ომისა და იმ უსამართლობისათვის, რასაც ინგლისის მეომარნი ტრანსვალ-ორანჟეში სჩადიან. საქები და სადიდებელი ჩემბერლენ-კიტჩენერის საქციელში, რაღა ლაპარაკი უნდა, არაფერია, მაგრამ მაინც გაოცებს, როდესაც ინგლისელების გამკიცხავებად, სიმართლისა და ჭეშმარიტების დამცველებად ის ერნი გამოდიან, რომელნიც იმავე სამხრეთ-აფრიკაში ინგლისელებზედ უარესს საქმეებს სჩადიან. ძარცვა-გლეჯასა და ხოცვა-ჟლეტაში ინგლისის მეომართ არც იმ ერის წარმომადგენელნი ჩამოუვარდებიან, რომელთაც ახალშენები აქვთ აფრიკაში. განსხვავება ის არის მხოლოდ, რომ ინგლისელთ თავიანთ ავ-კაცობის მსხვერპლად თეთრ-კანიანნი გაუხდიათ, ხოლო სხვებს—შავ-კანიანნი, და კიდევ ის, რომ ინგლისელები ათას საზიზღრობას ომის დროს სჩადიან, სხვები-კი მშვიდობიანობის დროს.

ბის დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს და არა კერძო კაცთა შემწეობის აღმოსაჩენი. 8,000 კაცის შემოსავლიდგან რომ მხოლოდ სამმა და ოთხმა ისარგებლოს წელიწადში, ამას კერძო კაცთა სარგებლობა ჰქვიან.

2) ამ ფულის შემწეობით უმაღლესს სასწავლებელში კურს დამთავრებულთა რიცხვი არ იმატებს, რადგანაც უნივერსიტეტში რომ ყმაწვილი შევიდეს, საჭიროა გიმნაზიაში დაასრულოს სწავლა; ასე რომ ყოველ წლიურად უნივერსიტეტში სწავლა დამთავრებულთა რიცხვი პირდაპირ დამოკიდებულია გიმნაზიაში სწავლა-დამთავრებულთა რიცხვისაგან და ვინც გიმნაზიას ასრულებს, ის უნივერსიტეტში დღესაც ახერხებს შესვლას. ეს კია, ბევრმა მათგანმა ძლიერ ხელმოკლედ უნდა იცხოვროს უცხოეთში სიღარიბის გამო.

საზოგადო ფულის ამ საქმისათვის დახარჯვას მხოლოდ ის შეუძლიან, რომ ამ ხელმოკლეთა მდგომარეობა გაუმჯობესოს, თორემ უმაღლესს სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთა რიცხვს ვერ გაამრავლებს, რადგან თუ გიმნაზიიდგან არ გავგზავნით ბევრს, ვერც უნივერსიტეტი მოგვცემს მეტს.

3) საზოგადო ფულის საშუალებით თუნდაც კიდეც რომ წელიწადში ორი-სამი ნასწავლი კაცი მეტი შეგვეძინეს, ვიდრე დღეს არის, ეს მაინც იმას არ ნიშნავს, რომ ამ ორი-სამის შემწეობით ხალხის სვე-ბედი გაუმჯობესდება.

4) ჯერ უნდა ვეცადოთ საზოგადო ფულის საშუალებით, რაც შეიძლება, უფრო მეტს აუხილოთ თვალები ოდნავ მაინც, რათა ამ ოდნავ თვალ-ახილულებმა დაინახონ ის, რასაც დღეს ვერ ხედავენ და მათის წარმატების ხელის შემშლელი-კი არის.

ამ ზოგად მოსაზრებებზე ვამყარებდი მე იმ წერილში ჩემს აზრს.

ახლა, როდესაც უმაღლეს რესკრიპტით ნაბოძებმა ფულმა კვლავ აზრთა სხვა-და-სხვაობა გამოიწვია ჩვენს პრესაში, საჭიროდ მიმაჩნია გავიმეორო ერთხელ უკვე თქმული ანდაზა „შინ არ ჰქონდა და შორს გაჰქონდაო“. და ამ თქმულების დასახასიათებლად აღვნიშნო ის ფაქტი, რომ როდესაც საეჭვოდ მიგვაჩნია იმ ერთად-ერთის სკოლის არსებობა, რომელიც დღეს გვაქვს, ულოგიკობაა სხვა საქმეებში დავ ქსაქსოთ ჩვენი შეძლება. საჭიროა შევიგნოთ, რომ საზოგადო საქმეს მაშინა აქვს ვრცელი საზოგადოებრივი მნიშვნელობა, როდესაც მას ავ-კარგიანობაში, ყველას თუ არა, ამ საზოგადოების წევრთა უმრავლესობას მაინც წილი უდევს.

უმაღლეს რესკრიპტით ნაბოძები ფული საზოგადოებას ეკუთვნის, მაშასადამე, ამ ფულით საზოგადოების უმრავლესობამ უნდა ისარგებლოს და არა ორმა და სამმა. ამის მიხედვით უფრო საბრალიანი იქნება ფული მოხმარდეს ყველასათვის ხელ მისაწვდენ სასწავლებელს და არა ისეთს, რომლითაც მხოლოდ რჩეულთ შეუძლიანთ ისარგებლონ.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ თავად-აზნაურთა რიცხვი სხვა მცხოვრებთ რიცხვთან შედარებით იმდენად თვალ-საჩინოა, რომ ამ წოდების სვე-ბედზე მზრუნველს წოდებრივი მიმდგომლობა არ უნდა შევწამოთ. ჩვენში, სადაც ათასობით ითვლება თავად-აზნაურთა რიცხვი და არა მხოლოდ ათობით, როგორც ზოგიერთ სხვა ქვეყნებში, დანაშაულობა იქნება ისტორიის წინაშე ამ წოდების ინტერესების დაცვაზე ხელი ჩავიქნიოთ და ვთქვათ: „სულ ერთია, ამ წოდების პირთა განადგურებით, ერს არაფერი დააკლდებაო. თუ ასეთ მსჯავრის წარმოთქმა შეიძლება თავად-აზნაურობაზე იქ, სადაც მათი რიცხვი უმნიშვნელოა, ჩვენში, სადაც ეს წოდება ერის თვალ საჩინო ნაწილს შეადგენს სიმრავლით, — ასე არ ითქმის. დამცველი თავად-აზნაურობის ზნეობრივ და ქონებრივ ინტერესებისა, დამცველია ერის თვალ-საჩინო ნაწილის ინტერესებისა და არა იმ სახელწოდებისა, რაიცა ამ ნაწილს ხალხისას ჰქვიან.

ჩვენი თავად-აზნაურობა იმდენად ხელ-მოკლეა, რომ პირველ-დაწყებით სწავლის მიღების საშუალებასაც კი მოკლებულნი არიან მათი შვილები. ამ მხრივ გლეხობა გაცილებით უმჯობესს მდგომარეობაშია: გლეხობას თავის შეერთებული ძალის მეოხებით თითქმის ყოველს სოფელში აქვს სკოლა, და, თუ არა აქვს, კანონი უფლებას აძლევს დაიარსოს ერთ-კლასიანი და ორ-კლასიანი სკოლები. ხოლო თავად-აზნაურთა მოზარდ თაობისათვის გლეხთა სკოლების კარებიც-კი დახშულია, ვინაიდგან სკოლები თვით დამაარსებელთა შვილებსაც ვერ იტევენ; თავად-აზნაურთა შვილებსკი მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ მოიპოვონ ადგილი ამ სკოლებში, თუ იქ თავისუფალი ადგილი აღმოჩნდა, ისიც 10 და 15 მან. წლიურ სასწავლო ქირის გადახდით.

პროფესიონალურ განათლებაზე ლაპარაკი იქ, სადაც დიდ უმრავლესობას ანა-ბანას შესწავლის მოხერხებაც-კი არა აქვს, ცოტა არ იყოს, ნაადრევია, მით უმეტეს, თუ ამ პროფესიონალურ სასწავლებელს მთლად უნდა მოხმარდეს ნივთიერი საშუალება, რომლითაც შესაძლებელია მოზარდი თაობის მეტი წილი დავაკმაყოფილოთ ზოგადი განათლების ხასიათის დაბალ სკოლების დაარსებით.

აუცილებლად საჭიროა, ვიდრე „საერობო“ სკოლებს ვეღირსებოდეთ, რომლითაც წოდების განურჩევლად ყველას შეუძლია ისარგებლოს, თავად-აზნაურობამ თვითონ იზრუნოს და დაარსოს ისეთი სკოლები, რომლებშიაც მათი შვილები დაბალ სწავლა-განათლებას მაინც მიიღებენ. თუ მოსახერხებელი იქნება, ამისთანა სკოლები ქუთაისის გუბერნიის ყოველ მაზრაშიც რომ გაიხსნებოდეს, მეტის-მეტად სასარგებლო იქნება. დარწმუნებული ვარ, ამა თუ იმ მაზრის თავადაზნაურობა სიამოვნებით მიიღებს თავის თავზე ზოგიერთს ხარჯს, მაგალითად, მას შეუძლია გამოიღოს ფული სკოლის შენობის და მისი მოწყობილების შესაძენად, თუ რომ სკოლას ყოველ-წლიური შესანახი ხარჯი დაენიშნება რომელიმე წყაროდგან.

თავად-აზნაურობა ყველა წოდებას ჩამორჩა უკან სკოლებით: გლეხის წოდება ერთის კალმის მოსმით იარსებს შესაფერს სკოლებს. სამღვდელოებას თითქმის ყოველ კუთხეში აქვს ვაჟთათვის ოთხ-კლასიანი და ქუთაისში ქალთათვის ექვს კლასიანი სასწავლებლები. ქალაქის ყველა სკოლები ხომ ქალაქის მცხოვრებთა, უმეტესს ნაწილად არა აზნაურთა, ხელშია. თავად-აზნაურობას კი მთელს გუბერნიაში მხოლოდ ერთად-ერთი ქუთაისის სკოლა აქვს მისის განყოფილებით ძველსენაკში! ნუ თუ ეს გარემოება არ დააფიქრებს თავად-აზნაურობას? დიახ, უნდა დააფიქროს და ამიტომაც უნდა იზრუნოს კიდეც, რომ არსებული სკოლები ყოველ მხრივ სრულიად ჭეშმარიტებად ეყოს, ანუ ... რამე დარჩება კიდევ, მაშინ მაზრებში დაარსოს მოსამზადებელი სკოლები.

პოლიკარპე ლორთქიფანიძე

თეატრის მატიანე

„მსხვერპლი მსხვერპლისათვის“ 3-მოქმ დრამა დიაჩენკოსი და „სუსტი მხარე“ ვოდ. 1 მოქმ.

უტყუარ ჭეშმარიტებად არის აღიარებული, რომ თეატრის ცარიელი დარბაზი მსახიობებზედ საშინლად ჰმოქმედობს, ჰჩლუნგავს მათ აღმაფრენას და გრძნობას უყინვებს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც მსახიობი თვისის ცეცხლშეკეთებულის გრძნობის პასუხს მაყურებლის გულში უნდა ჰპოვებდეს, მისის სულიერ განწყობილების ცვალებადებაში უნდა ჰკითხულობდეს, გაიმარჯვა მან თუ დამარცხდა... ამ გვარ პასუხს, რასაკვირველია, ცარიელი სავარძლები ვერ მისცემენ და მსახიობთაც მხოლოდ ის-ღა დარჩენიათ, რომ ფრთები ჩამოუშვან.

სწორედ ასე მოიქცნენ დიაჩენკოს პიესაში მოთამაშე მსახიობნი, გარდა ვ. გუნიასი და ვ. გამყრელიძისა. აქ საჭიროდ როდი ვრაცხ, გავაცნო მკითხველს შინაარსი ამ დრამისა, ვინაიდგან იგი საგულისხმიერო როდია და მისს მთარგმნელს, ჩვენს ნიჭიერს დრამატურგს ა. ცაგარელს, ძვირფასი დრო ტყუილად დაუკარგავს. მხოლოდ მინდა აღვნიშნო ის საზოგადო, სავალალო მოვლენა, რომელიც ჩვენს სცენას, სეზონის დაწყებიდგანვე, თანა სდევს. ეს მოვლენა გახლავთ საშინელი გულგრილობა საზოგადოებისა სამშობლო ხელოვნებისადმი.

გასაოცარ ამბებსა სწერენ გაზეთები ევროპიელთა ყოფა-ქცევის შესახებ აფრიკაში. განათლებული და ყველაფრით აღჭურვილი ევროპიელნი ბუზებივით ჰხოცავენ და ჟლეტავენ სრულიად უდანაშაულო და მშვიდობიან ხალხს. ევროპიელებს ეს საქმე ბევრგან გასართობ საქმედ გაუხდიათ, ნაცარ-ტუტას ადენენ და მიწასთან ასწორებენ მთელ სოფლებს, ნამუსსა ჰხდიან დედაკაცებს, მწვავარ-მეძებრებით დასდევენ ბავშვებს. ასეთი ამბები ხდება საფრანგეთის ახალშენებში, ზემო სენეგალიასა, ნიგერსა, სუდანსა და კონგოში. ყველაზედ საზიზღარი ამ საქმეში ის არის, რომ მაგალითს თვით მთავრობის წარმომადგენელნი, იმის მოხელენი იძლევიან.

აი, სხვათა შორის, რას გადმოგვცემს ფრანგი მწერალი და დეპუტატი დოქტონი. ამ დოქტონს წერილი მიუღია ერთის ახალშენის ამისარის გიუოსაგან, რომელიც შემდეგ ამბავს ატყობინებს. ერთ დღეს ბანაკში მყოფი ევროპიელნი მოწყენილნი ისხდნენ. დროს გასატარებლად სამშობლოს მოწყვეტილმა ევროპიელებმა ნადირობა განიზრახეს და, რადგანაც არ მოეპოვებოდათ არც თხა და არც ბატკანი ნადირის მოსატყუებლად, სოფლიდგან ადგილობრივ მცხოვრების ათის წლის გოგო წაიყვანეს ტყეში, ხელ-ფეხი გაუკრეს და ხელად გამართული პატარა ქოხში დააგდეს. ბავშვი მთელი ღამე ჰყვიროდა და სტიროდა, ვიდრე ჭიანჭველებმა (აფრიკაში დიდი ჭიანჭველებია წუთი-სოფელს არ გამოასალმეს. ნადირი მაინც არ გამოსჩნდა...

„როდესაც სამხრეთ სუდანში გამგზავნეს, — სწერს იგივე დოქტონი, — ჩვენი გემი ქვემო კაზამანსის ნავთსადგურში შევიდა. რადგანაც დრო დიდი გვქონდა, მე და აფიცრები ნაპირზედ გადავედით და ახლო-მახლო მდებარე სოფლების დათვალიერებას შევუდექით. სრული მშვიდობიანობა და სათნოება სუფევდა ამ სოფლებში. ყველგან ხალხი მხიარულის სახით გვეგებებოდა, ცელქი ბავშვები სიცილითა და ხტუნვით დაგვდევდნენ უკან. ყოველივე აშკარად მოწმობდა, რომ ხალხი ბედნიერ და მშვიდობიან ცხოვრებაში იყო აქ. გავიდა ერთი წელიწადი და უკან დაბრუნებისას სულ სხვა სურათი გადამეშალა თვალ-წინ: მთელი ოლქი აოხრებული და განადგურებული იყო, აქა-იქ დაქცეულ-დანგრეული ქოხები-ღა მოსჩანდა მხოლოდ, ველარც ერთს ქალს, კაცსა და ბავშვს ველარ შევხვდით, ორჯელ-სამჯელ შორიდგან თვალი მოვკარით, როგორ გარბოდნენ შეშინებული და ცხვრის ფარასავით დამთხვეული მცხოვრებნი, ევროპიელთა მტარვალობას გადარჩენილნი. ეს საქმეში და ცივილიზაციისთვის სასაზღვო საქმე ჩაუდენია ევროპიელთა ერთ ექსპედიციას, ამ ადგილებში შესულს, ვითომდა მოუსვენარ მცხოვრებთა დასამშვიდებლად.

✦✦

საკვირველი არ არის, რომ ევროპიელნი ასე სასტიკად ექცევიან აფრიკის მივარდნილ და მიყრუებულ ადგილებში მცხოვრებ კაუნათლებელ, თითქმის ველურ ხალხს. ამაზედ ბევრად უფრო გასაოცარი ის არის, რომ განათლებული და დემოკრატიული ამერიკა დღემდე ზიზღით უყურებს განათლებულსავე ზანგებს.

დღეს ამერიკელთა სალაპარაკოს პრეზიდენტი რუზველტი და ზანგი ბუკერ ვაშინგტონი შეადგენენ. ყველანი ჰკიცხავენ პრეზიდენტს, დიდი და პატარა ემდურება მას; მერე, არ იკითხავთ, რათა? — მხოლოდ იმიტომ, რომ რუზველტმა .. საუზმეზედ მიიწვია ზანგი, შავკანიანი, ბუკერ ვაშინგტონი. ყოველ დღე პრეზიდენტთან აუარებელი ხალხი შედის. შედიან სანახავად და ხელის ჩამოსართმევად სენატორები, პალატის წევრნი, მოსამართლენი და უბრალო მოქალაქენი. პრეზიდენტის ნახვა, იმის სახლში შესვლა სულ უბრალო საქმეა. ისე დღე როგორ გავა, რომ პრეზიდენტმა რამდენსამე ათას კაცს ხელი არ ჩამოართვას; ამათ შორის ზანგებიც არიან. მაგრამ დღემდე მაგალითი არა ყოფილა, რომ პრეზიდენტს, თუ არ ოფიციალურ, შინაურ საუზმეზედ ზანგი მიეწვიოს.

ბუკერ ვაშინგტონი დიდად შესანიშნავი კაცია. მონად ნამყოფმა და მონობაში აღზრდილმა, ვაშინგტონმა განთავისუფლების შემდეგ თავისის ნიჭით, მეცადინეობით და მხნეობით ბევრი, ძალიან ბევრი გააკეთა თანამოძმეთა გასანათლებლად და იმათ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ნიჭით, მჭერმეტყველებითა და მხნეობით ვაშინგტონი არც ერთ ამერიკელ საზოგადო მოღვაწეს არ ჩამოუვარდება. დღეს იგი საპედაგოგიო ინსტიტუტის (უმაღლესი სასწავლებელია) დირექტორია. იმან დაარსა ზანგთათვის როგორც ეს, ისე სხვა მრავალი მაღალი და საშუალო სასწავლებელი, გაზეთი, ჟურნალი. შარშან ერთ ჟურნალში იბეჭდებოდა და მერე ცალკე წიგნათაც გამოვიდა ვაშინგტონის ავტობიოგრაფია. თვით ამერიკულ გაზეთებისავე მოწმობით შარშან ამერიკაში ამ ავტობიოგრაფიაზედ შესანიშნავი და საყურადღებო არა დაბეჭდილა-რა. დღეს იგი ფრანგულ ენაზედაც ითარგმნება. აი, ასეთ კაცის საუზმეზედ მიწვევის გამო უსაყვედურებენ პრეზიდენტს! .

კარგია კიდევ, რომ თვით პრეზიდენტი არაფრად აგდებს ასეთს საყვედურს და თავის საქციელს არა ნანობს. რუზველტს ჯერ კიდევ არა ერთხელა ჰ ორჯელ მოუხდება ვაშინგტონთან შეხვედრა ჰ იმასთან დროს გატარება. ამ დღეებში ნიუ-ჰავენის უნივერსიტეტის დღესასწაულია. ორასი წელიწადი უსრულდება ამ უნივერსიტეტს. დღესასწაულის დროს საპატიო დიპლომები უნდა გადასცენ იაპონელ მარკიზს იტოს, რუსთა პროფესორს მარტენს, პრეზიდენტს რუზველტსა და ამ ზანგს, ბუკერ ვაშინგტონს. ექვი არ არის, პრეზიდენტსა და ვაშინგტონს ერთად მოუხდებათ ყოფნა საუზმეზედ დირექტორის სახლში. ნეტარას იტყვიან მაშინ ამერიკელნი?..

✦✦

ბუენოს-ჰაირესში (სამხრეთ ამერიკაშია) ერთი ამბავი მოხდა, რომელმაც არა მარტო ამერიკის, ევროპის ჟურნალ-გაზეთების ყურადღებაც-კი მიიქცია.

ამ ორის-სამის თვის წინად პოლიციის დეპარტამენტში ერთი ხნიერი კაცი მისულა და ტირილით გამოუცხადებია, რომ ორი ქალიშვილი დავკარგეო. ერთი თხუთმეტის წლისა ყოფილა, მეორე ჩვიდმეტისა. ორივეს გიმნაზია ჰქონია გათავებული. მამა გუბერნატორის კანცელარიაში მოხელედა ყოფილა. პოლიცია დიდის გულმოდგინეობით შესდგომია კვლევა-ძიებას და დაკარგულ ქალების ძებნას; მაგრამ ყოველსავე ცდას უნაყოფოდ ჩაუვლია. ერთ ღამეს პოლიციის ერთი აგენტი, ტანისამოს გამოცვლილი, საროსკიპოში იჯდა

ჩვენს ლიტერატურაში და კერძოთ საუბარშიაც ხშირად გაიგონებთ, ვითომც ქართველ საზოგადოების ცხოვრება ამ ბოლოს ხანს საკეთილოდ ამოძრავებულიყოს, ეროვნულ თვით ცნობიერებას მისცემოდეს, მაგრამ საქმით-კი ამას ვერა ვხედავთ.

განა ეროვნულ თვით-ცნობიერების შესახებ ლაპარაკი შეიძლება იქ, სადაც ერთად-ერთი სამშობლო სცენის ბედ-იღბალი ღვთის ანაბარად არის მიგდებული და შიგ ჩვენს ქართველობას ქუდითაც ვერ შეიტყუილებთ?!. თეატრი ხომ ერთად ერთი ადგილია, სადაც ქართველს, რამდენიმე საათის განმავლობაში, შეუძლიან დრო ქართულად გაატაროს, ქართულის ჰაერით ისუნთქოს, შეურეველი ქართული ენა მოისმინოს... ნუთუ ამ გვარი „გართობა“ ჩვენთვის ბუნებრივ მოთხოვნილებას არუნდა შეადგენდეს?!.. და სად არიან ის ჩვენი მყვირალა მამაკაცნი, თუ დედანი, რომელთა ქველ მოქმედების გადაჭარბება სხვა გვარ საქმეში უმწვერვალესს ხარიხამდის აღწევს ხოლმე?!.

მე-კი, ჩემის მხრით, არ ვიცი ისეთი სათანაგრძნობო და დიადმნიშვნელოვანი საქმე, როგორიც ერისათვის თეატრია. ვიმეორებ, ჩვენი თეატრის ბედ-იღბალი საფრხეშია და მხოლოდ საზოგადოების გულშამატკივრობა თუ იღსნის მას... მაშასადამე ნუ დავიშურვებთ ამ გულშემატკივრობას და იმედი ვიქონიოთ, რომ ის ნაკლი ჩვენის სცენისა, რომლითაც საზოგადოება თავისს გულგრილობას ამართლებს, შეივსება, გაირანდება...

რაც შეეხება ხუთშაბათის წარმოდგენას, იგი უფერული იყო ჯერ

და ერთ ქალს ელაპარაკებოდა. უეცრად შორიდგან ყრუ კვნესა მოესმა თურმე. კვნესა რამდენჯერმე განმეორდა. იმავე ღამეს პოლიციამ ალყა შემოარტყა ამ სახლს და ჩხრეკა დაუწყო. გადაათვალიერეს ყველა ოთახები, გაჩხრიკეს ეზო, სარდაფები და მაინც ვერაფერი იპოვნეს. მაგრამ სწორედ იმ დროს, რა დროსაც დაღონებული და დაძმარებული პოლიცია წასვლას აპირებდა, ხოლო სახლის პატრონი ხმა მაღლა ჰკიცხავდა პოლიციის უკანონო თავ-დასხმას, კვნესა ხელ-ახლა მოისმა. უფრო გულმოდგინედ შესდგომიან ჩხრეკას და ბოლოს დიასახლისის ოთახში საიდუმლო კარები უნახავთ, რომელიც ბნელ ბნოტიო ოთახში შედიოდა. როდესაც სარდაფში ჩასულან, ორი შიმშილისაგან მისუსტებული ქალი უნახავთ იატაკზედ. ლაპარაკი და გამოკითხვა დაუწყვიათ, მაგრამ ვერაფერი გაუგიათ: ქალები უცხო ქვეყნელნი აღმოჩნდნენ. ბოლოს თარჯიმანის წყალობით გამოირკვა, რომ ეს საცოდავი ქალები ავსტრიის ქვეშევდომნი ყოფილან, ორის თვის წინად ამერიკაში ჩასულნი. აი, რა უამბნია ერთ მათგანს, როზა ბრანდტს, 20 წლის ქალს.

„სამის თვის წინად ჩვენს სამშობლოში, გალიციაში, ჩამოვიდა ვიღაც გერმანი. მდიდარი ქარხნის პატრონი ვარო, ეუბნებოდა ყველას ეს გერმანი და ურჩევდა ახალგაზდა ქალებს ამერიკაში წასვლას სამუ-

ერთი იმიტომ, რომ თვით პიესა მაყურებლის სულსა და გულს არას ეუბნება და ძალიან ჩამოჰგავს ფრანგულ მელოდრამებს, ერთგვარის ყალიბისას, რომლებშიაც ავტორნი შეუძლებელ ამბებს ერთი-მეორეზედ ძალის-ძალად ჰკინძავენ და დრამებად ასაღებენ. შეიძლება, რომელიმე შემთხვევა, ამ დრამაში აღწერილი, მართალიც იყოს, მაგრამ, როდესაც ჰხედავ მთელს გრესულს ძნელად დასაჯერებელ მოვლენათა, ავტორის ხელით ძალის-ძალად შეკოწიწებულთ,—როგორღაც ეჭვში შედიხარ და არა გჯერა, ვითომც ცხოვრება ამ გზით ვიდოდეს.

ქ-ნი კარგარეთელისა და ბ-ნნი სვიმონიძე და გედევანოვი ხელს უწყობდნენ ამ უფერულობას. რამდენადაც ბ-ნი სვიმონიძე ცდილობდა (მხოლოდ ცდილობდა) ალ-მოცული ყოფილიყო მის მიერ როლის გადმოცემა, იმდენად ქ-ნი კარგარეთელისა იყო ცივი და გაყინული მხოლოდ ბ-ნმა გუნიამ დაგვანახვა ჭეშმარიტი გრძნობა სვინიდის გამოღვიძებულ ავაზაკ-ადამიანისა. ბაჩაროვის ზნეობრივი (ვ. გუნია) ცვალებადია და მრავალ მხრივი. პირველ მოქმედებაში იგი ვიგინდარა და ტრაბახ ადამიანად გეჩვენებათ, მეორე მოქმედებაში ავაზაკათ და მესამეში ეს ავაზაკობა უმაღლესს ციინიზმამდე აღწევს... მხოლოდ ამავე მოქმედებაში არის ერთი წამი, როდესაც ბაჩაროვში აღკვეთილი გრძნობა კაცად-კაცადობისა იღვიძებს და იგი მონანიების გზას ადგება, მაგრამ ბუნება კვლავ უღალატებას ამ ზნეობრივ გამოფხიზლებას, როდესაც ბაჩაროვს თვალ-წინ ბრილიანტები აუთამაშდებიან.

შაოდ. ამასთან დიდ ჯამაგირს გვპირდებოდა. ამ დანაპირით წაქეზებულმა ოთხმა ამხანაგმა ქალმა გადავწყვიტეთ ამერიკაში წასვლა, ხოლო როდესაც დედ-მამამ არ გაგვიშვა, გავიპარენით, გემზედ დავსხედით და გავწიეთ სამხრეთ ამერიკისაკენ“.

ოთხივენი ახალგაზდანი და ლამაზნი ყოფილან. გერმანს ჩაუყვანია ეს ქალები ბუენოს-ჰაირესში და ერთის მოხუც დედაკაცისთვის გადაუცია, ხოლო ამ უკანასკნელს საროსკიპოში წაუყვანია. როდესაც ქალები უარზედ დამდგარან, საწყლები სარდაფებში დაუმწყვდევიათ.

ამ ამბის შემდეგ, პოლიციაა ხელ-ახლა შესდგომია ჩხრეკას და მალე სხვა ქალებიც აღმოუჩენია, ამ რიგად ჩამწყვდეულ-დაპატიმრებულნი. ის ორი მოხუცის ქალიც უპოვნია. როგორც გამოირკვა, ქალაქში რამდენიმე კანტორა ყოფილა, რომელიც აგენტებსა ჰგზავნიდა ევროპაში და ამერიკაში ქალების მოტყუებით ჩამოსაყვანად და შემდეგ ამ ქალების გასასყიდად. კანტორები ქალებს 500, 700, 1000 ფრანკადა ჰყიდდნენ თურმე. ბევრი აგენტი ევროპაში ჯვარს იწერდა ქალზედ და ისე მიჰყვანდა ამერიკაში. ერთ ასეთ აგენტს 35 ჯერ დაეწერა ჯვარი. 500 ქალზედ მეტი გაანთავისუფლა თურმე ტყვეობიდგან პოლიციამ და აღმოაჩინა ბევრი სხვა საზიზღრობაც, ამ კანტორების მიერ ჩადენილი.

ი. ა—ძე.

ბ-ნ გუნიას ამ როლის გადმოცემა ხერხიანად მოუვიდა. მისი გრძნობით გაჟღენთილი ხმა მდიდარია სულიერ ვითარების ამა თუ იმ მიმოხვრის გამოსახატად. მაღალი ფარდებიდგან დაწყებული დაბალ ფარდებამდე—ამ მსახიობს შეუძლიან იუმორიც და ტრაგიზმიც თანასწორის ძლიერებით აღბეჭდოს და ორივე შემთხვევაში სიყალბეს ვერ შეჰნიშნავთ... ცრუ აფექტაცია მას არ სჩვევია, არც უაზრო მიხვრა-მოხვრა და ხელების ენერგიული ქნევატრაგიკულ პაფოსის გამოსათქმელად. ერთის სიტყვით, ბ ნი გუნია ჩვენს სცენაზედ ერთად ერთი მსახიობია, (გარდა ვ. მესხიშვილისა) რომელსაც ძალუძს დრამატიულ როლების ხელოვანად აღსრულება, მხოლოდ, ცოტა არ იყოს, სუფლიორისაკენ ხშირად იყურება ხოლმე და პაუზს დროს სახეების არ ამეტყველებს.

„სუსტი მხარე“ ქ-ნ ტ. აბაშიძემ და ბ-ნთ შათირიშვილმა და აწყურელმა მხიარულად ითამაშეს. ბოლოს „კანკანიც“ გვაჩვენეს, მაგრამ რომ არ ეჩვენებინათ, უკეთესი იქმნებოდა. „კანკანს“ თუ ფრანგული „გრაცია“ არა სდევს—არაფერი სანახავია და ჩვენი მსახიობნი-კი, ხომ მოგეხსენებათ, ცოტა არ იყოს, ყოველგვარ გრაციასთან უკაცრავად გახლავან.

ინზენ.

დაბალ სოფელი

—

დ. ზუგდიდი. ამ დაბას ადგილ-მდებარეობით პირველი ალაგი უჭირავს მთელ სამეგრელოში, მაგრამ დაბა ჯერჯეროობით ქალაქად ვერ გადაკეთდა. ან რა გააქალაქებს ზუგდიდს, როდესაც გარემოება ხელს სრულებით არ უწყობს: რკინის გზა ახლო არ უვლის და აბა აღებ-მიცემობას აქ რაღა განავითარებს?! გარდა ამისა მეგრელები ხრიკებით დაბას უფსკრულს უთხრიან. შეუძლებელია, რომ ვინმე მდიდარი ურია, ანუ სომეხი აქ ახეირონ. ჯერ მახეს დაუგებენ და თუ ვერ მოახერხეს და მახეში ვერ გააბეს, შემდეგ მუშტებს უჩვენებენ და თუ მუშტებითაც ვერ შეაშინეს, უკანასკნელ საშუალებას მიჰმართავენ: მიაუგროვებენ ფულებს და ისედაც მდიდარს ურიას ანუ სომეხს ჯიბეს გაუვსებენ და ეტყვიან: ოღონდ აქ ნუ დაიწყებ აღებ-მიცემობას და აი ეს ღმერთმა კარგად მოგახმაროსო. აბა ვინ არ დათანხმდება ასე ტკბილად, უშრომლად ჯიბე გაივსოს! რასაც ურია სომეხს ჯიბეში უჩხრიალებენ, საზოგადოებას კისერზე აწერენ: ზუგდიდში ისეთი რა უნდა იყოს, რომ ერთი ორად არ უყიდებოდეს!? თუ სასტუმროში, ანუ რესტორანში ერთი დღე დარჩით, ტყავს გაგაძრობენ: არა მგონია ტფილისში „ორიანტის“ სასტუმროში ცხოვრება უფრო ნაკლები არ დაჯდეს, ვინემ აქაურს სასტუმრო-რესტორანებში!

გონების მხრივ დაბას სძინავს საღათის ძილითა. აქაურს ახალგაზდობას არაფრის მიმზიდველობა არა აქვს: უფრო ყავახანებში ატარებს დროს. ბანქო და სხვა სათამაშოები ისეთ ნაირად არის გავრცელებული, რომ მთელს ღამეებს ათენებენ.. ზოგჯერ ხმალ-ხანჯალიც დატრიალებულა. მე თვითონ ვიყავი ეგეთი მოვლენების მოწამე. სხვა რით უნდა გაერთოს აქაური ახალგაზდობა?! სამკითხველო წიგნთ-საცავი ოდესმე იყო აქ, მაგრამ ეხლა მისი ხსენებაც არსად არის. ნუთუ დიდი საქმე უნდა, რომ სამკითხველო დაარსონ?! უნარი და მუყაითობა უნდა, თორემ ფული ადვილად მოგროვდება ამ საკეთილო საქმისთვის. სხვა, რომ არა იყოს-რა, შარშან დაარსებულ საურთიერთო ნდობის ბანკს შეუძლიან 15—20 თუმანი დივიდენდიდან გადასდოს ამ საკეთილო საქმისათვის. ყველა ეს ადვილი საქმეა, მაგრამ სად არის კაცი?! დაბა რომ ეგრე დაჩაჩანაკებულია, ახლო მახლო სოფლებს რაღა უნდა მოვსთხოვოთ?! ვერც ვსთხოვთ და ცხოვრებაც ერთ დონეზეა შემდგარი. ცარცვა-გლეჯას და ქურდობა ავაზაკობას უფრო გასავალი აქვს, ვინემ სხვა რამე საკეთილო საქმეს. ისეთი სოფელი არ იქნება, რომ ერთი და ორი ცხენი არ დაიკარგოს. ვინ იპარავსო, უეჭველია იკითხავს მკითხველი. ვინ იპარავს და უსაქმოდ დროს მატარებელნი. ხოლო ვინ დახეტიალობს და ვინ ატარებს დროს უსაქმოდ, ყველასათვის ცხადია, მაგრამ საუბედურო ის არის, რომ ანდაზის არ იყოს, ცხენს ვერ ერევიან და უნაგირსა სტეხენ. ამ ორი კვირის წინად ზუგდიდის მაზრის სოფლებში, ადგილობრივ ადმინისტრაციის წინადადებით, საზოგადოებებმა ოქმები შეუდგინეს ცუდ ყოფა-ცხოვრების პირებს, მაგრამ ამ ოქმებში მარტო სოფლის გლეხების ბიჭ-ბუჭები მოჰყვნენ... ქვეყნის შემაწუხებელნი თავისუფლად დაფარფაშობენ და ვიღაც საწყლები-კი შეიძლება დაიკარგნენ. ქუთაისში გაგზავნეს ისინი, ვისაც ოქმები შეუდგინეს. ყველა დაბალი ღიბეა—გლეხები...

ისიდორე შიოსძე

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

8 ნოემბერი.

პეტერბურგი. კომისიამ, რომლის თავჯდომარედ მიტროპოლიტი ანტონია, წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს განსახილველად სრულიად შემუშავებული პროექტი მართლ-მადიდებელ სამღვდელოების საპენსიო წესდებისა.

მუკდენიდგან მოსულ უკანასკნელ ცნობებით, რუსეთის ქალაქების მანეთს ჩინელები იღებენ 1 მ. 20 კ. და 1 მ. 30 კაპეიკად ვეცხლითა და ოქროთი, ხოლო ამერიკის დოლლარს და ჩინეთის ფულს ფასი 20 და 30 პროცენტით აკლდება.

7 ნოემბერს დიდი მთავარი ბორის ვლადიმერის ძე წავიდა საზღვარ გარეთ.

8 ნოემბერს ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა ინახულეს რუსეთის სამეფო სახლეულობის აკლდამა — პეტრე-პავლეს ტაძარში.

ნიჟნი-ნოვგოროდი. აღმოაჩინეს მკვლელობა, რომელიც ჩაუდენია მოსკოვის მოქალაქეს შაპოშნიკოვმა. ჩხუბის დროს შაპოშნიკოვს ცულით მოუკლავს თავისი ღვიძლი და; გვამი საკუჭნაოში დაუმალავს. მკვლელობა შვიდის დღის შემდეგ შემთხვევით აღმოჩნდა. მკვლელი დააპატიმრეს.

ყაზანი. 8 ნოემბერს ყაზანის სასულიერო აკადემიამ დიდის ამბით იდღესასწაულა 59 წელწადი თვისის არსებობისა.

ნიუ-იორკი. ქალაქი კოლონი, კოლუმბიაში, ქუჩაში მომხდარ ბრძოლის შემდეგ ხელში ჩაიგდეს ლიბერალებმა. მთავრობის სურვილის თანახმად, ამერიკის სამხედრო გემმა გადმოსხა 100 კაცი რკინის გზის სადგურის დასაცველად.

კოპენჰაგენი. დღეს კრონპრინცის სადილს დაესწრნენ: მეფე, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, პრინცი ვალდემარი მეუღლით, გარეშე საქმეთა მინისტრი, სამხედრო მინისტრი და სევერსკის პილკის აფიცერთა დეპუტაცია ერთის აფიცრით.

განცხადებანი

შემთხვევას ხელიდან ნუ გაუშვებთ!

ᲘᲐᲤᲘ

ᲕᲐᲭᲠᲝᲒᲐ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐ.

კავკასიის საიუბილეო გამოფენის დახურვამდე ჩემს საკუთარს საგამოფენო პავილიონში კვირიდგან ყოველ დღე მეტად იაფად გაიყიდება ყველა კამფეტები, რომელიც ეხლა ამ პავილიონშია. ეს კამფეტები ჩემს საკამფეტო ქარხანაშია დამზადებული.

პატივისცემით ტფილისის პირველი გილდის ვაჭარი

ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲡ ᲫᲔ ᲒᲝᲯᲐᲚᲝᲕᲘ.

(2—234—2)

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიასა და „ივერიის“ რედაქციაში

„ᲡᲘᲦᲛᲘᲮᲘᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲜᲘ ᲓᲐ ᲥᲕᲐᲗᲐ ᲦᲐᲦᲐᲓᲘ“

წერილი ილია ჭავჭავაძისა, **მეოცედ** გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ, რადგან პირველი გამოცემა სრულიად გაიყიდა.

ეს გამოცემა ძვირფასს ქაღალდზეა დაბეჭდილი. ჰღირს წიგნი ექვსშაურად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9-го Ноября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118 რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.